

შპს „მაგნა ლოგისტიკს“
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობა

	31 დეკემბერი 2022
აქტივები	
ფული დაფულის ეკვივალენტები	17621
სავაჭრო მოთხოვნები	1195848
გადახდილი ავანსები	0
მარაგები	0
მზა პროდუქცია	0
სხვა	0
საინვესტიციო ქონება	0
სხვა მიმდინარე აქტივები	3258
ბიოლოგიური აქტივები	0
თვითღირებულების მოდელით	0
გადაფასების მოდელით	0
გუდვილი	0
სხვა არამატერიალური აქტივი	0
ძირითადი სახმუალებები	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0
სულ აქტივები	1216727
ვალდებულებები	
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0
სავაჭრო ვალდებულებები	746848
ვალდებულებები და სხვა ხარჯების ანარიცხები	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0
საგადასახადო ვალდებულებები	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0
სხვა ვალდებულებები	0
მიმდინარე ვალდებულებები	746848
სულ ვალდებულებები	746848
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	0
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	468979
სულ საკუთარიკაპიტალი	468979
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1216727

საქმიანობის შედეგები

	2022
ნეტო ამონაგები	10703519
საქონლის გაყიდვებიდან	0
მომსახურების გაწევიდან	10703519
სხვა	29
გაყიდვების თვითღირებულება	(6983927)
საწყისი მარაგები	0
მარაგების შესყიდვა	0
საბოლოო მარაგი	0
საერთო მოგება	3719592
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	(32819)
ცვეთა	0
სხვა შემოსავალი	0
საპროცენტო ხარჯი	0
იჯარის ხარჯი	(19084)
სხვა ხარჯები	(7648)
სულ საოპერაციო ხარჯები	(59551)
საოპერაციო მოგება	3660041

გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება:

ფინანსური აქტივი	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(140648)
მოგება /ზარალი	3519393

სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	3519393
კაპიტალის საწყისი ნაშთი	0
ნაწილებული მესაკუთრეებზე (მათშ დივიდენდი)	(3049514)
პიტალის სხვა ცვლილებები	0
კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	469879

ალექსანდრე
გერმანოზიშვილი
დირექტორი

საქმიანობის შედეგები

	2022
ნეტო ამონაგები	10703519
საქონლის გაყიდვებიდან	0
მომსახურების გაწევიდან	10703519
სხვა	29
გაყიდვების თვითღირებულება	(6983927)
საწყისი მარაგები	0
მარაგების შესყიდვა	0
საბოლოო მარაგი	0
საერთო მოგება	<u>3719592</u>
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	(32819)
ცვეთა	0
სხვა შემოსავალი	0
საპროცენტო ხარჯი	0
იჯარის ხარჯი	(19084)
სხვა ხარჯები	(7648)
სულ საოპერაციო ხარჯები	<u>(59551)</u>
საოპერაციო მოგება	<u>3660041</u>

გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება:

ფინანსური აქტივი	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(140648)
მოგება /ზარალი	<u>3519393</u>

სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	3519393
კაპიტალის საწყისი ნაშთი	0
ნაწილებული მესაკუთრეებზე (მათშ დივიდენდი)	(3049514)
პიტალის სხვა ცვლილებები	0
კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	469879



ალექსანდრე
გერმანოვიშვილი
დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	
ფულადი შემოსულობები კლიენტებისგან	9470084
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხები	(9470084)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	99319
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(0)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(0)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(81698)
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	17621
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	0
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის მერყეობის გავლენა	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	17621

ფასს-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მაგნა ლოგისტიკს“ (ს.ნ.405547369) (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საზოგადოების იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N 37ლ, ბ. 76

საზოგადოება დაფუძნდა 2022 წლის 11 ივლისს, ს.კ. 405547369

მესაკუთრე მიმდინარე მდგომარეობით არის ფ.პ. „ალექსანდრე გერმანოზიშვილი“ (პ.ნ.01824094758) 100%

საზოგადოები დირექტორი არის ბ-ნი ალექსანდრე გერმანოზიშვილი (პ.ნ.01824094758)

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და საცხოვრებელი. შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები გამოუცხადა. მოვლენები ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობას არ აქვს მნიშვნელოვანი პირდაპირი კავშირი უკრაინასთან, რუსეთსა და ბელორუსიასთან. შესაბამისად მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ომს არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელიც ომს შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან გაურკვეველია ომის ზოგად ეკონომიკაზე ზემოქმედების სიდიდეც. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და მოვლენების განვითარებას.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული ნიშნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა ტანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განზაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას, იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას საზოგადოების საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები რომელშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები, დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მარალი დონის მსჯელობას, კომპლექსურ მიდგომებს მოცემულია 3-ე შენიშვნაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

საზოგადოების ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. საზოგადოების ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს , მოთხოვნად დეპოზიტებს.

ფული და ფულის ექვივალენტები

	2022 წელი
	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	13396
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4225
	17621

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების საბალანსო გამოყენების ვადები შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	20-50 წელი
მოწყობილობა-დანადგარები	10-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-15 წელი
კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი	5-10 წელი
ავეჯი	5-12 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგებიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს , თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მიზნის თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება. და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებულ სიდიდემდე მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობის საფუძველზე აღებულ ვვ

ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საზოგადოების ფულად ერთეულში (ლარში). საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის

მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება საკურსო სხვაობის შემოსავალში ან საკურსო სხვაობის ხარჯში. სავაჭრო ვალდებულება

	2022 წელი
	ლარი
სავაჭრო ვალდებულება	746848

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები

	2020 წელი
	ლარი
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	1,195,848
სხვა მოთხოვნები	3258

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე. შეთანხმება ასახავს აქტივის (აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო ხარჯად.

იჯარა რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

საკუთარი კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა წესდებით განისაზღვრება. წესდებაში ცვლილების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება) მხოლოდ საზოგადოების მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისარები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. მომსახურება ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

ამონაგები

	2022 წელი
	ლარი
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	10,703,519

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის, ახალი ე.წ. „ესტონური“ მოდელის მიხედვით, (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) საზოგადოება მოგების გადასახადს იხდის მაშინ, როდესაც მოხდება მოგების განაწილება დივიდენდის ან სხვა ფორმით.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)

საზოგადოების მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების მიხედვით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა, შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ს

თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასები, გასამრჯელოები, პრემიები და არაფულადი სარგებელი საზოგადოების მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც საზოგადოების თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული, ხოლო ყოველწლიური ანაზრაურებადი შვებულების, ბიულეტენის შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების თანამშრომელი ისარგებლებს ამ უფლებით.

არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოების მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება საზოგადოების იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის, კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაანგარიშებისას. ამრიგად, კომპანია არ აკონტროლებს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, სამაგიეროდ აღიარებს გაუფასურების ზარალის ანარჩებს.

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა

ფაქტორებს, მათშორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს, რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი შესწორება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის ერთეულის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (განსაზღვრა) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან და შეეხო საზოგადოების მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს (კომერციული ბანკის , საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკრო საფინანსო ორგანიზაციის და ლომბარდის გარდა). ეს ცვლილებები შეეხო საზოგადოების მიერ გადავადებულ მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. საზოგადოებებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მირებულია 2017 წლის 01 იანვრიდან) მანამ სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15% -ნი მოგების გადასახადის ე.წ. „აგროსილი“ თანხიდან (ხერ უნდა მოხდეს გასაცემი დივიდენდის ნეტო თანხის აგროსვა 5%-ით საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებით და შემდგომ 0,85-ზე გაყოფით მიიღება მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა). რომელიც გადახდილ უნდა იქნას დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში იმისდამიუხედავად ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილებით, რეზიდენტ საწარმოს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული აკუმულირებული „წმინდა მოგებიდან“ დივიდენდის განაწილებისას,

უფლება აქვს ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული (დეკლარირებული) და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის განაწილებაზე გათვალისწინებული მოგების გადასახადის თანხისა.

დივიდენდის განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა თუ რომელი პერიოდების დივიდენდის გაცემა ხდება) საზოგადოება აღარ არიარებს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდის განაწილებასთან ერთად მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლოდ მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობას). ასევე შერავათიან დაბეგვრის რეჰიმის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირებისთვის გაცემული ავანსები, ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტებზე გაცემული სესხები დაუყონებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. თუმცა ღნიშნული სესხის დაბრუნების ან ავანსის სანაცვლოდ საქონლის/ მომსახურების მიღების (ან ავანსის დაბრუნების) შემდეგ, საზოგადოებას შესაბამისი დეკლარირების გზით შეუძლია ამ ოპერაციებზე გადახდილი (დეკლარირებული) მოგების გადასახადის ჩათვლა.

ისეთი გადასახადები, სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (ჩათვლას) აღარ ექვემდებარება, საზოგადოების მიერ აისახება „სხვა საოპერაციო ხარჯებში“ და არ მიეკუთვნება საანგარიშო მუხლს- „მოგების გადასახადი“

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022 წელი
	ლარი
საექსპედიტორო და გადაზიდვის მომსახურების ხარჯი	6,983,927
შრომის ანაზღაურება	32819
საპენსიო ხარჯი	656
ბანკის საკომისიოს ხარჯი	15242
საიჯარო ქირა	19084

საკინსულტაციო ხარჯი	6991
ჯამი	7058719

4. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 25 მარტს საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა ადგილი არ ჰქონია.